სსიპ ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №1

ქ. ბათუმი 10 იანვარი, 2023 წ.

სხდომის დაწყების დრო:14:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

მზია აბულაძე
ნანა ბერიძე
მაკა ხინთიბიძე
ლალი ქორიძე
ირინე მამულაძე
დალი ქობულაძე
სოფიო ცინცაძე
ნათია ბლაგიძე
მაია სურმანიძე
ნინო შავაძე
ლია კომახიძე
ინგა ქოქოლაძე
თორნიკე ხაბეიშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა სსიპ ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის დირექტორი გივი ხალვაში და დირექტორის მოადგილეები მზია თევზაძე და ნინო გოგოლიშვილი.

სხდომა გახსნა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

დღის წესრიგი:

1. *2022-2023სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში , კერძოდ კალენდარში და II სემესტრის საათობრივ ბადეში შესატანი ცვლილებების შეთანხმება*
2. *სსიპ - ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხი.*

კენჭი ეყარა წინადადებას სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხრე : 13
მოწინააღმდეგე: 0
დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. საკითხი N1. *2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში , კერძოდ კალენდარში და II სემესტრის საათობრივ ბადეში შესატანი ცვლილებების შეთანხმება*

მომხსენებელი: სკოლის დირექტორი -გივი ხალვაში.

მოისმინეს: ბატონი გივი ხალვაშის მოხსენება დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ბატონმა გივი ხალვაშმა დამსწრე საზოგადოებას ასევე მოახსენა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 დეკემბერის უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ N 580 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად ,,დასაქმებულთათვის 2022 წლის 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით დღეები განისაზღვროს უქმე დღეებად"

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლა ვალდებულია აღნიშნული ცვლილება ასახონ სასკოლო წლის კალენდარში. ამისათვის კი საჭიროა, სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში შევიდეს ცვლილება და იგი მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

მან დამსწრე საზოგადოებას, განუმარტა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში უნდა შევიდეს ცვლილება მეორე სემესტრის საათობრივ ბადესთან დაკავშირებით. ბატონმა გივი ხალვაშმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადე (დაწყებითი, საბაზო საფეხურებისა და მეათე კლასისათვის) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადე (მე-11 და მე-12 კლასებისათვის), რომელთა შესაბამისადაც უნდა ჩამოყალიბდეს მეორე სემესტრის სკოლის საათობრივი ბადე, რომელიც არის სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

ამრიგად, სასკოლო სასწავლო გეგმაში უნდა შევიდეს ცვლილება მეორე სემესტრის საათობრივ ბადესთან დაკავშირებით. კერძოდ:

1) პირველ კლასში, მეორე სემესტრიდან იწყება პირველი უცხოური ენის (ინგლისური) სწავლება, რომელსაც დაეთმობა კვირაში ერთი საათი.

2) პირველ სემესტრში ისწავლებოდა მათემატიკა კვირაში 4 საათი, ხოლო ისტ 1 საათი, მეორე სემესტრში შეიცვლება საათობრივი ბადე, კერძოდ ისტ აღარ ისწავლება და მათემატიკას დაეთმობა კვირაში 5 საათი.

3) მე-8 კლასში პირველი უცხოური ენა (ინგლისური) პირველ სემესტრში ისწავლებოდა კვირაში 3 საათი, ხოლო მე-2 სემესტრში დაეთმობა კვირაში 2 საათი. ისტორია პირველ სემესტრში ისწავლებოდა კვირაში 2 საათი და მე-2 სემესტრში დაეთმობა კვირაში 3 საათი. სახვითი და)

4) მე-9 კლასში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ისწავლებოდა პირველ სემესტრში კვირაში 1 საათი, ხოლო მე-2 სემესტრში დაეთმობა კვირაში 2 საათი; მუსიკას დათმობილი ჰქონდა პირველ სემესტრში კვირაში 2 საათი, მე-2 სემესტრში კი დაეთმობა კვირაში 1 საათი.

5) მე-11 კლასში იცვლება სპორტისა და საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების საათები. კერძოდ, სპორტი პირველ სემესტრში ისწავლებოდა კვირაში 2 საათი, მეორე სემესტრში დაეთმობა კვირაში 1 საათი. საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება პირველ სემესტრში ისწავლებოდა კვირაში 1 საათი, ხოლო მეორე სემესტრში დაეთმობა კვირაში 2 საათი.

6) მე-12 კლასში მეორე სემესტრში აღარ ისწავლება სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება და არჩევითი საგანი, რაც უნდა აისახოს საათობრივ ბადეში.

ზემოთ აღნიშნული და სხვა ცვლილებების გამო, მე-2 სემესტრიდან იცვლება მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა და საგაკვეთილო ცხრილი.

სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დეტალურად იქნა განხილული საათობრივ ბადეში შესატანი ცვლილებები.

აზრი გამოთქვეს: სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა მაკა სურმანიძემ. მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების დანართი N1-ით დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად, სამეურვეო საბჭო გამოხატავს თანხმობას პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის თაობაზე. შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმაში შესატანი ნებისმიერი ცვლილებაც განხილული და შეთანხმებული უნდა იქნას სამეურვეო საბჭოს მიერ.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა სამეურვეო საბჭოს წევრებს კენჭი ეყარათ სასკოლო სასწავლო გეგმაში, კერძოდ, 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრის საათობრივ ბადეში ცვლილების შეტანის საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13
მოწინააღმდეგე - 0

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს:

1) შეთანხმებულად ჩაითვალოს 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, კერძოდ, კალენდარში და II სემესტრის საათობრივ ბადეში შესატანი ცვლილებები წინამდებარე ოქმის შესაბამისად.

2) შეთანხმებულად ჩაითვალოს 2022-2023 სასწავლო წლის II სემესტრში მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა დანართი 1-ის შესაბამისად.

საკითხი №2. *სსიპ - ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხი*

მოისმინეს: სკოლის დირექტორის გივი ხალვაშის მოხსენება, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით. მან დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ სსიპ ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი სკოლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა 2022 წლის 8 ნოემბერს (სამეურვეო საბჭოს ოქმი №6).

ბიუჯეტში უნდა შევიდეს წინა წლის ნაშთი 930919 ლარი. ეს თანხა გადანაწილდა ბიუჯეტის შემდეგ პოზიციებზე: 21113, 2235, 2238, 223122, 223123, 223126, 22314, 226, 22104, 273, 3113.

აქედან გამომდინარე, საჭიროა სსიპ - ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტის დაზუსტება ცვლილებების შეტანის გზით.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარ მაია სურმანიძემ დამსწრე საზოგადოებას, კიდევ ერთხელ, შეახსენა, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი

პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის თანახმად, სამეურვეო საბჭო დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს. შესაბამისად, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შედის სკოლის ბიუჯეტში, დამტკიცებული უნდა იყოს სამეურვეო საბჭოს მიერ.

სკოლის დირექტორმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა 2023 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი. სამეურვეო საბჭოს წევრებმა დეტალურად განიხილეს წარმოდგენილი პროექტი და მოიწონეს.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისთვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა -0

სამეურვეო საბჭომ დაადგინა:

დაზუსტდეს და ცვლილება შევიდეს სსიპ - ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტში დანართი 2-ის შესაბამისად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების დრო: 15:00 სთ.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: /მ. სურმანიძე/

სამეურვეო საბჭოს მდივანი: /დ.ქობულაძე/

ხსიპ ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის ბიუჯეტი 2023 წ 10.01 ვაუჩერი I-VIII კლ 483 IX-XII კლ 567 ლარი.

კოდები	კატეგორია	წლის ჯამი	იანვარი	თებერვალი	მარტი	I კვარტალი	აპრილი	მაისი	ივნისი	II კვარტალი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	III კვარტალი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	IV კვარტალი
	ნაშთი პერიოდის დასაწყისში	93,913.00				54,100.00				39,813.00								
1	შემოსავლები	2,173,891.00	181,731.00	181,326.00	181,327.00	544,384.00	181,326.00	181,326.00	181,327.00	543,979.00	180,921.00	180,921.00	180,922.00	542,764.00	180,921.00	180,921.00	180,922.00	542,764.00
1.1	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2,167,456.00	180,621.00	180,621.00	180,622.00	541,864.00	180,621.00	180,621.00	180,622.00	541,864.00	180,621.00	180,621.00	180,622.00	541,864.00	180,621.00	180,621.00	180,622.00	541,864.00
1.11	ვაუჩერული დაფინანსება	1,222,348.00	101,862.00	101,862.00	101,863.00	305,587.00	101,862.00	101,862.00	101,863.00	305,587.00	101,562.00	101,862.00	101,863.00	305,587.00	101,862.00	101,862.00	101,863.00	305,587.00
1.12	სამინისტროდან მიღებული დამატებითი დაფინანსება დეფიციტის დაფარვის მიზნით ორლაინი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
1.13	სერთიფიცირებული მასწავლებლების დანამატი	904,308.00	75,359.00	75,359.00	75,359.00	226,077.00	75,359.00	75,359.00	75,359.00	226,077.00	75,359.00	75,359.00	75,359.00	226,077.00	75,359.00	75,359.00	75,359.00	226,077.00
1.14	სხვა შემოსავლები	40,800.00	3,400.00	3,400.00	3,400.00	10,200.00	3,400.00	3,400.00	3,400.00	10,200.00	3,400.00	3,400.00	3,400.00	10,200.00	3,400.00	3,400.00	3,400.00	10,200.00
1.141	*ადგილობრივი ორგანოებიდან მიღებული დაფინანსება*	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
1.142	*სამინისტროს მხრიდან განხორციელებული პროგრამული დაფინანსება ქქმის და ორლაინის*	7,200.00	600.00	600.00	600.00	1,800.00	600.00	600.00	600.00	1,800.00	600.00	600.00	600.00	1,800.00	600.00	600.00	600.00	1,800.00
1.143	*სხვა საბიუჯეტო შემოსავალი*	33,600.00	2,800.00	2,800.00	2,800.00	8,400.00	2,800.00	2,800.00	2,800.00	8,400.00	2,800.00	2,800.00	2,800.00	8,400.00	2,800.00	2,800.00	2,800.00	8,400.00
1.2	გრანტები	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
1.3	ეკონომიკური საქმიანობა (კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები)	6,435.00	1,110.00	705.00	705.00	2,520.00	705.00	705.00	705.00	2,115.00	300.00	300.00	300.00	900.00	300.00	300.00	300.00	900.00
1.31	შემოსავლები საკუთრებიდან (იჯარა, ქირავნობა)	2,835.00	810.00	405.00	405.00	1,620.00	405.00	405.00	405.00	1,215.00				0.00				0.00
1.32	საქონლის და მომსახურების რეალიზაცია (წრეები, გახანგრძლივებული ჯგუფები და სხვა)	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
1.33	სანქციები, ჯარიმები, საურავები	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
1.34	ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა (ქველმოქმედება, შემოწირულობა და სხვა)...	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
1.35	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	3,600.00	300.00	300.00	300.00	900.00	300.00	300.00	300.00	900.00	300.00	300.00	300.00	900.00	300.00	300.00	300.00	900.00
2	ხარჯები	2,267,804.00	240,700.00	183,080.00	174,704.00	598,484.00	190,000.00	175,299.00	218,493.00	583,792.00	185,600.00	175,204.00	181,960.00	542,764.00	192,100.00	174,380.00	176,284.00	542,764.00
21	შრომის ანაზღაურება	1,941,440.00	180,120.00	160,120.00	160,120.00	500,360.00	160,120.00	160,120.00	160,120.00	480,360.00	160,120.00	160,120.00	160,120.00	480,360.00	160,120.00	160,120.00	160,120.00	480,360.00
211	ხელფასები	1,941,440.00	180,120.00	160,120.00	160,120.00	500,360.00	160,120.00	160,120.00	160,120.00	480,360.00	160,120.00	160,120.00	160,120.00	480,360.00	160,120.00	160,120.00	160,120.00	480,360.00
21111	თანამდებობრივი სარგო	1,023,840.00	85,320.00	85,320.00	85,320.00	255,960.00	85,320.00	85,320.00	85,320.00	255,960.00	85,320.00	85,320.00	85,320.00	255,960.00	85,320.00	85,320.00	85,320.00	255,960.00
211111	დირექციის თანამდებობრივი სარგო	93,600.00	7,800.00	7,800.00	7,800.00	23,400.00	7,800.00	7,800.00	7,800.00	23,400.00	7,800.00	7,800.00	7,800.00	23,400.00	7,800.00	7,800.00	7,800.00	23,400.00
211111	ადმინისტრაციის თანამდებობრივი სარგო	42,000.00	3,500.00	3,500.00	3,500.00	10,500.00	3,500.00	3,500.00	3,500.00	10,500.00	3,500.00	3,500.00	3,500.00	10,500.00	3,500.00	3,500.00	3,500.00	10,500.00
211112	პერსონალის თანამდებობრივი სარგო	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
211113	პედაგოგთა შრომის ანაზღაურება	888,240.00	74,020.00	74,020.00	74,020.00	222,060.00	74,020.00	74,020.00	74,020.00	222,060.00	74,020.00	74,020.00	74,020.00	222,060.00	74,020.00	74,020.00	74,020.00	222,060.00
21112	წოდებრივი სარგო	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
21113	პრემია	20,000.00	20,000.00			20,000.00				0.00				0.00				0.00
21114	დანამატი ორლაინი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
21115	ჰონორარი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
21116	კომპენსაცია	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
21117	სერთიფიცირებული მასწავლებლების დანამატი	897,600.00	74,800.00	74,800.00	74,800.00	224,400.00	74,800.00	74,800.00	74,800.00	224,400.00	74,800.00	74,800.00	74,800.00	224,400.00	74,800.00	74,800.00	74,800.00	224,400.00

22	საქონელი და მომსახურება	267,864.00	50,080.00	16,460.00	13,084.00	79,624.00	25,380.00	13,679.00	51,873.00	90,932.00	18,480.00	13,584.00	15,340.00	47,404.00	24,480.00	12,760.00	12,664.00	49,904.00
221	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	136,320.00	11,360.00	11,360.00	11,360.00	34,080.00	11,360.00	11,360.00	11,360.00	34,080.00	11,360.00	11,360.00	11,360.00	34,080.00	11,360.00	11,360.00	11,360.00	34,080.00
222	მივლინება	500.00			500.00	500.00				0.00				0.00				0.00
223	ოფისის ხარჯები	131,044.00	38,720.00	5,100.00	1,224.00	45,044.00	14,020.00	2,319.00	40,513.00	56,852.00	7,120.00	2,224.00	3,980.00	13,324.00	13,120.00	1,400.00	1,304.00	15,824.00
2231	საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა	4,000.00	500.00		500.00	1,000.00	500.00		500.00	1,000.00	500.00		500.00	1,000.00	500.00		500.00	1,000.00
2232	კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი	1,000.00	500.00			500.00	500.00			500.00				0.00				0.00
2233	ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ - გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო - სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯი	1,000.00	600.00			600.00	400.00			400.00				0.00				0.00
2234	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
2235	საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	2,000.00	2,000.00			2,000.00				0.00				0.00				0.00
2236	ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი	3,000.00	500.00			500.00	500.00			500.00	500.00	1,000.00		1,500.00	500.00			500.00
2237	რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარიული საგნების შეძენის ხარჯი	3,000.00			500.00	500.00			500.00	500.00		1,000.00	500.00	1,500.00			500.00	500.00
2238	შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი	20,000.00	20,000.00			20,000.00				0.00				0.00				0.00
2239	საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	2,000.00	500.00			500.00	500.00			500.00	500.00			500.00	500.00			500.00
22310	კავშირგაბმულობის ხარჯი	800.00	200.00			200.00	200.00			200.00	200.00			200.00	200.00			200.00
22311	საფოსტო მომსახურების ხარჯი	1,000.00	250.00			250.00	250.00			250.00	250.00			250.00	250.00			250.00
22312	კომუნალური ხარჯი	46,400.00	9,900.00	5,100.00	0.00	15,000.00	9,900.00	1,800.00	4,500.00	16,200.00	3,900.00	0.00	0.00	3,900.00	9,900.00	1,400.00	0.00	11,300.00
223121	ელექტროენერგიის ხარჯი	4,000.00	1,000.00			1,000.00	1,000.00			1,000.00	1,000.00			1,000.00	1,000.00			1,000.00
223122	წყლის ხარჯი	12,000.00	2,000.00	2,000.00		4,000.00	2,000.00		2,000.00	4,000.00	2,000.00			2,000.00	2,000.00			2,000.00
223123	ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი	26,400.00	6,000.00	3,000.00		9,000.00	6,000.00	1,500.00	2,500.00	10,000.00				0.00	6,000.00	1,400.00		7,400.00
223124	კანალიზაციისა და ასენიზაციის ხარჯი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
223125	გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ზეთლეულის, აგრეთვე გენერატორის საწვავის შეძენის ხარჯი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
2231251	დიზელი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
2231252	შეშა	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
2231253	ქვანახშირი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
223126	შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი	4,000.00	900.00	100.00		1,000.00	900.00	300.00		1,200.00	900.00			900.00	900.00			900.00
223127	სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული ბინით სარგებლობის კომუნალური ხარჯი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
22314	ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული	43,264.00	1,000.00		224.00	1,224.00	1,000.00	519.00	35,013.00	36,532.00	1,000.00	224.00	2,980.00	4,204.00	1,000.00		304.00	1,304.00
224	წარმომადგენლობითი ხარჯი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
225	კვების ხარჯები	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
226	სამედიცინო ხარჯები	1,000.00	1,000.00			1,000.00				0.00				0.00				0.00

227	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
228	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შეკეთების ხარჯები	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
2210	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2,580.00	1,770.00	0.00	0.00	1,770.00	270.00	0.00	0.00	270.00	270.00	0.00	0.00	270.00	270.00	0.00	0.00	270.00
22101	ბანკის მომსახურების ხარჯი	80.00	20.00			20.00	20.00			20.00	20.00			20.00	20.00			20.00
22103	ექსპერტიზის და შემოწმების ხარჯი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
22104	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	1,000.00	1,000.00			1,000.00				0.00				0.00				0.00
22105	რეკლამის ხარჯი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
22106	სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
22107	საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
22108	აუდიტორიული მომსახურების ხარჯი	500.00	500.00			500.00				0.00				0.00				0.00
22109	საარქივო მომსახურების ხარჯი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
22110	შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი	1,000.00	250.00			250.00	250.00			250.00	250.00			250.00	250.00			250.00
22111	მიწის ქირა	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
22112	კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების ხარჯები	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
22114	სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
25	სუბსიდიები	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
26	გრანტები	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
27	სოციალური უზრუნველყოფა	54,000.00	9,500.00	5,500.00	1,500.00	16,500.00	4,500.00	1,500.00	6,500.00	12,500.00	4,500.00	1,500.00	6,500.00	12,500.00	7,500.00	1,500.00	3,500.00	12,500.00
271	დასაქმების საპენსიო შენატანი	18,000.00	1,500.00	1,500.00	1,500.00	4,500.00	1,500.00	1,500.00	1,500.00	4,500.00	1,500.00	1,500.00	1,500.00	4,500.00	1,500.00	1,500.00	1,500.00	4,500.00
272	სოციალური დახმარება	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
273	დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	36,000.00	8,000.00	4,000.00		12,000.00	3,000.00		5,000.00	8,000.00	3,000.00		5,000.00	8,000.00	6,000.00		2,000.00	8,000.00
28	სხვა ხარჯები	500.00	500.00	0.00	0.00	500.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
281	ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
282	სხვადასხვა ხარჯები	500.00	500.00	0.00	0.00	500.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
2821	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	500.00	500.00			500.00				0.00				0.00				0.00
2822	სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,000.00	500.00	1,000.00	0.00	1,500.00	0.00	0.00	0.00	0.00	2,500.00	0.00	0.00	2,500.00	0.00	0.00	0.00	0.00
3111	შენობა - ნაგებობები	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
3112	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
31121	სატრანსპორტო საშუალებები	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
31122	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00
3113	სხვა ძირითადი აქტივები	4,000.00	500.00	1,000.00		1,500.00				0.00	2,500.00			2,500.00				0.00
	ბალანსი	0.00				0.00				0.00				0.00				0.00

დირექტორი: გ.ხალვაში

ბუღალტერი: ვ.ყაჭეიშვილი

დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ ოქმი № 1 2023 წლის 10 იანვარი

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე [illegible]

ა(ა)იპ ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლა LEPL BATUMI PUBLIC SCHOOL №8 GEORGIA 245429317